

სიანბი

№ 12 1938

თბილისი
გამომცემლობა „აოგენისტი“
ფასი 60 კ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თინო თინი

ბ. ციკლაური
წახ. ღონის

ბრიგანული დიპლომატიკის ვახუშტი

ინფორმაციული დიპლომატიკა: რაღას აგვიანებ, მიუტანე, გაძღებთან და ჩვენ ხელს არ გაახლოებ.

სოფლის ამბების მიმოხილვა

(ნიანგის მიერ მსოფლიოში ჩემი დაუსწრებელი მივლინების ანგარიში)

I.

ნიანგო, შენის ბრძანებით მსოფლიო შემოვიარე, და გწერ რაც ვნახე, ჰამაც გთხოვ, მკითხველებს გაუზიარე: ეგები გკითხონ: რასა იქს ევროპა გადაღმელია. „მშვიდობის ანგელოზების“ შტატი როგორ ჰყავს ძველია. ვსთქვათ, ინგლისს. სერ ჩემბერლენი კვლავ ხომ ჰყავს

დიპლომატათა,

ის ერთხელ ლომი რომ ყავდათ, ხომ არ გადექცათ კატათა? ან ცოფმორეულ ფაშიზმის ქოფაკებს—ოჯახკეტიანს—ჯაჭვი, პალოზე საბმელი ჯერ ხომ არ აუწყვეტიათ? ან, ერთის სიტყვით, რას შვრება მთელი მსოფლიოს მთაბარი, ანტისამხედრო დღისათვის რა ხდება ამბავ-ხაბარი? გკითხავენ ექვი არ ~~აქვს~~ მოკეთენია, ჰუმორმოყვარე მკითხველებს ბაასი უყვართ შენია. მაშ ჩაუკენჭე რაც გითხრა, ამბავნი ევროპისანი, აწ შენს საკბილოდ სავარგნი, სულ უახლოეს დღისანი:



III.

ტოკიოს ვნახე ფაშისტნი, ემწკრივენ როგორც ნიყვები, ზურგს ქვემოთ, რბილი ადგილი სტკიოდათ—კი მოგიყვებით, „ჭკუისა გვჭირსო“ კენესოდნენ, ძირს ჩამოეშოთ ყიყვები, „ვანი რა სამგლე გოჭებდად ვავხდითო—განაბრიყვები!“ არ შევაწუხე კითხვითა, და არცა წარბი ჩავხარე და ვით ნიანგელს შეპფერის—იმგვარად ვადვიხარხარე, და თქვენთან ერთად მე ახლაც მეცინება და ვიცინი, ვიცინით, ჯანსად სიცილით, ხოლო სტირიან ისინი, ვინც ჩვენს ბოსტანში ღრუტუნით შემოყო ღორის ღრუტნია, ვინც ჩვენზე საავანტურით წააქეზა და ურჩია, ვინც ჩვენს სამშობლოს საზღვარსა ვერავათ წაებოტინა, ვინც საბჭოეთის სამტროთა დაპყეფა, დაიხროტინა, ვინც სცადა ჩვენსა მიწაზე მგლის ფეხით გადმობიჯება; ყოფა უტირეს და ქურჭი უხიეს ჩვენმა ბიჭებმა, ისე დასცხეს და დაქოჩრეს, ისე ჩაბუბნეს გოროზად, რომ მტრები შესაძრომელად ეძებდნენ თავის სოროსა, და იმა ვირის ამბავი მათ დაემართათ აშკარად: „მოგებაზე“ რომ წავიდა და ნალებიც იქ დაჰყარა. ამიტომ ვასაგებია, თქვენც მიხვდებოდით მგონია, როცა ჩვენ ასე ვიცინით, რათ სტირის იაპონია,



II.

ლონდონს ვიყავ, სიტი ვნახე, ჩემბერლენი დაეინახე, პალიფაქსი გვერდზე უჯდა, სიფათები ჰქონდათ მკვახე. ფიქრობდნენ და ვერ ეფიქრათ (აზრი მათთან მოვა კია?) თუ ჰიტლერს ვით შეაჭამონ მალე ჩეხო-სლოვაკია. ბერლინს წაველ და სულ მალე იტალიაც მოვიარე, ეს ფაშიზმის სამფლობელო დამხვდა ერთობ მგლოვიარე: —„ღუჩე“ შესტირს „ფიურერსა“:—ჩემო ელამ თვალის ჩინო, ესპანეთში კუკუზნაკი, მითხარ რა გზით ვადვირჩინოთ. ის კი ურჩევს:—ნუ წახდები, სხვაგანც წამყე საყაჩალოთ, როგორმე ვქნათ, რომ მსოფლიო ომი ჩქარა გავაჩალოთ, აი იმ ჩვენს მაკაკასა, იმ ჩვენს იაპონიასა ვუსისინოთ, პირი სტაცოს იქნებ ქადას ქონიანსა. საბჭოეთზე გავალაშქროთ, გართულდება საქმე ხელად, სკუბ და უცბად მეც ნახტომს ვიქმ ჩეხ-სლოვაკთა ჩასანთქმელად. ჩემბერლენი კეხს დაადგამს ბრიტანეთის ბებერ ლომსა, ჰამ შევსხდებით, ჰამ ვაქენებთ, ჰამაც თავს მოვახვევთ ომსა.



IV.

კვლავცა ვნახე სხვა ამბავნი, ქვეყანას რომ ზათქით სძრავენ: აწ ფაშიზმის მოციქულნი ომის ცეცხლით ცას ხანძრავენ, ესპანეთის რესპუბლიკა ისე იბრძვის როგორც ლომი, ვერ მოდრიკეს ინტერვენტთა—მოახვიეს თუმცა ომი, კვლავ ჩინეთი ბობოქარი—მზისკენ თვალთა აღმპყრობელი, სანახტომოდ ემზადება, მთლად მოსრისოს დამპყრობელი! და თუმც ომის დამთებელნი თარეშობენ ხროვა, ხროვა და მსოფლიოს შეღმუიან: უფრო დიდი წარღვა მოვა? მაგრამ ძაღლთა ყეფა როგორ შეაჩერებს ქარავანსა, რა შეარყევს მუშათა კლასს—ამ ფოლადის ფალავანსა? იგი მზად დგას დევგმირივით, რომ წიხლი ჰკრას ძველ სამყაროს და ოქტომბრით ნაშობი მზე მსოფლიოში დაამყაროს.

ს. ფაშალიშვილი.

იმედგასრუებელი



ბერძნული ფაშისტის გაბასაბა თავის ორეულთან

რას არ მივმართეთ, რას არ მივედეთ ყვეფით შეესაძრით მთელი ქვეყანა, ჰიტლერის მოკლე აზრებს მივინდეთ ისტერიკამდე რომ მივვიყვანა.

გამოვიგონეთ სისხლის ამბავი, გერმანულ რასის მაღალი ჯიში,— ეს თეორია, როგორც ნაგავი ღებება და გულში მატულობს შიში.

აქეთ ესპანეთს წავკარით კვანტი, იქით ავსტრია წავიბალახეთ, მაგრამ ჩვენს საქმეს ვერ შევლის ხატიც და საკუთარი თავი გავლახეთ.

რამდენიც ვწყველეთ საბჭოთა მხარე, დუყით ავადესეთ ჰიტლერის ბინა, მაშინ შენელდა ეს სიმწუხარე საკუთარ ფურთხში რომ ჩავგვიძინა.

ხალხს იღარ სჯერა ჩვენი გმირობა თუმცა ვადინეთ ნახშირს „კარაქი“ ვინ არ მიხვდება ასეთ ვირობას? და აგვიხირდა დაბა, ქალაქი.

სად არის სხვა გზა, გამოსავალი, უნდა ვიომოთ გამუდმებულად. ასეთ ცხოვრებას დაუდგეს თვალი მძიმე დარდები შემოგვებურა.

არ არის პური, არ არის ერბო და არც სხვა რამე კბილის სალესი ველარ გვიშველი სვასტიკის ღერბო თუმცა კელავ გაქებს ბეცი გებელსი.

გვაქვს კანონები ახლა მრავალი: გვექნება ჩქარა ჩვენ დიდი ომი, ჯარს უნდა მისცეს ხალხმა შარვალი, ჭამა-სმა, ეზო, ბინა სადგომი.

აქ რა შუაშია შფოთვა, გოდება, ვის არ სჭირდება დაცვა ოჯახის,— რა უყოთ, ხალხი თუ ნადგურდება— არიელების ბლაგვი ნაჯახით.

მაშ გახადეთ ხალხო საცვლები მოგვეცით რამე სხვა საკენკელიც არიელები ტყეში ვით მგლები ყმუოდენ თურმე ათასი წელი.

ჭამა, სმა, ჩაცმა რა სათქმელია, ანდა სად ჰქონდათ ბინა ველურებს?— მივდივართ ტყეში, სადაც მგელია, იქ უფრო ტკბილად ჩავვატკბარუნებს.



მოკავშირენიც მშვენიერია,— იაპონია და იტალია, დღეს ასე „ტკბილად“ რომ იმღერიან ვგრძნობ სახაგვეზე გასატანია.

„წითელი საფრთხე“ გამოვაცხადეთ და შეუთვალეთ წყველა მრავალი, გებელსის ქვევრებს თავი მოვხადეთ რომ აგვეხვია ხალხისთვის თვალი.

მაგრამ სად არის გამოსავალი როს საკუთარი ბოღმები გვათრობს,— და კომუნის მზე ამომავალი ყველა ჩვენს იმედს ნისლივით აქრობს.

მალას გვიფუჭებს, რომ არ გვენბდება ურჩი რეხები და სლოვაკები, აქ ვინმე სხვებიც ფეხში გვედება გვიზიდავს პრალა, სხვა ქალაქები.

შენ, ომის ღმერთო, ეგებ გვადირსო საბჭოთა ხალხის განადგურება, თორემ ბოღმებით გული აივსო გვაქმარე თავის ვაპამბულება.

ზინთისი.

ნახ. მ. ოთაროვისა.



ბერძნული ფაშისტი:—აჰ, ერთი ორ მეზობელ ქვეყანაში რომ კიდევ ჩამატარებინა პღებისციტი, ჩემი საქმე კარგად იქნება!..



ბარათაშვილმა რომ გაიღვიძოს

ნ. ბარათაშვილი — ნეტავი სად ვარ, სად წავიდა ჩემი მთაწმინდა?
 კიორხეი — კი არ წავიდა, ახლა მოვიდა, ძია ნიკოლოზს!

ჩემი თოპანის ტექნო

ქარტველი
ბიზნისი

ნაცნობ ბუნჭალტრებს, რომლებმაც ცოცხალი ადამიანები დაივიწყეს, ყოველ საკითხს ბუნჭალტრულად თვალთ უდგებიან და ოფიციალური დოკუმენტის—ფარატინა ქალაქის გარეშე ჩაისაც კი აღარ შეეძენ ვიან—ამ უბრალო მოთხოვნას უძღვნა—**აპტიკი**

სხვისი რომანების თხრობამ რომ თავი შემაწყინა—ვიფიქრე: „ნუთუ არა აქვს უფლება ახალგაზრდა კაცს, უცოლშვილოს. თუგინდ „ნიანგის“ თანამშრომელსაც კი, მონახოს ერთი ლამაზი გოგო, გამიჯნურდეს და გაიხაროს?“

ფიქრს პრაქტიკული მსვლელობა მივეცი, გაძიჯნურება უცბად მოხდა. „გახარების“ შესახებაც ვიამბობთ:

გავიცანი ერთი არაუშავსრა გოგო, ოციოდე წლის, პროფესიით მოანგარიშე, სახელად თილიბოკლე (ნათლობის სახელი—თინა) მომეწონა და სიყვარულში გამოვუტყდი..

ქალი „პრაქტიკული“ გამოდგა:

— მე ან მოფერს უნდა გავყვე. ან ლუდის გამყიდველს.—თქვა მან.

მე ვკითხე:

— რა საჭიროა მაინცდამაინც მოფერი, ან—ლუდის გამყიდველი, არ შეიძლება მწერალს გაყვე?!
მიპასუხა:

რატომ არა, ესეც შეიძლება, ზოგიერთი მწერალიც ხალხურით ცხოვრობს.

ეს ფრაზა მან ისეთი ინტონაციით წარმოსთქვა, რომ მასში ნახმარი სიტყვა „მწერალი“ წინწკლებში საგულისხმოდ მოისმა.

ერთი სიტყვით, უფლება მომცა რომანის კვანძი დასაწყისშივე არ გამეხსნა..

მეც გავწირე თავი და დაუფიქრე მტკიცება: რომ უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიან, უარის შემთხვევაში აუცილებლად თავს მოვიკლავ და თუ ეს ვერ გავბედე, რალაცა საშინელს მაიხც ჩავიდნ.

— როგორ დავიჯერო, რომ გიყვარვარ?—მითხრა მან.

მე იმეფუთის საკოცნელად გავიწიე და ვუთხარი: „ამაზე ადვილი რა არის შეტქი“!

მან შემაჩერა და მითხრა:

— კოცნა კი არა, მაგ დარგის უფრო მეტი რამეც არ გამოდგება საბუთათ, იქნებ რა მოხდეს ჩვენს შორის მე ხომ ოფიციალური დოკუმენტი უნდა მქონდეს? დოკუმენტი, რომლის წარდგენაც ყველგან შემიძლება. იფიქრე და მითხარი.

ვიფიქრე, ვუთხარი და წარვუდგინე კიდევ ოფიციალური დოკუმენტი,—პატარა, მაგრამ შინაარსიანი განცხადება:

„მისი უმშვენიერესობას, თილიბოკლე ამფილოკლის-ასული ქარცეცხლადეს

მისი უმდამწერესობის გიორგი ელიაზარის-ძე ივანიშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ უკვე კარგა ხანია თქვენის სიყვარულით ვიწვები, არ მაქვს მოსვენება და ჩემი ავადმყოფობის პატარონი, ყოველი სახის ავადმყოფის ბედს შევნატრი, მინდა გითხვოთ ცოლად და ამ საქმეში თქვენც თანახმა იყოთ. გაძლეეთ პირობას, რომ არასოდეს ვილატებთ და ვიქნები თქვენი ერთგული ქმარი.

ამასთანავე ერთად გიღვინთ თვიურ, საშუალო შემოსავლისა და ბინის ფართობის ცნობას,

გთხოვთ ნუ გამწირავთ და უარს ნუ მეტყვით.

განმცხადებელი: (ხელმოწერა)“.

სატრფომ უბიდან „სწრაფმკერი“ ამოიღო და სხვა განცხადებებთან ერთად ჩემი განცხადებაც ჩააკერა—მოწიწებით, პატივისცემით.

და მითხრა:

— თანახმა ვარ, მხოლოდ წავიდეთ, ჩემს მშობლებს შევეუთახნოთ. ახლავე წავიდეთ..

მე იმჟამად სასიღერო-სასიამაღროსთან წარდგომის საშუალება არ მქონდა: ტანზე საშინაო ტანსაცმელი მეცვა. ხელში, გზაში გახვეული ისეთი ნივთი მეკავა, რომლის ჩვენება სხვისთვის არ მინდოდა. ამის გამო შეხვედრის დღის გადაღება დავიწყე და გართობის მიზნით სატრფო ნაყინზე დავაბატე.

— დღესვე უნდა მოხდეს ეს ყველაფერი, ისე არ შეიძლება.. დაიჩემა თილიბოკლემ და რაკი საშველი აღარ მომცა—წაყვევი.

გამაცნო: სასიამაღრო—ამფილოკლე ქარცეცხლადე (ნათლობის სახელი ამბერკი) მთავარი ბუღალტერი, საშუალო ცოდნის, მალა-

ბალო, ნერვიული და სასიღერო—სოფოკლე ქარცეცხლადისა (ნათლობის სახელი—სოფიო) ბუღალტერი წერა-კითხვის მცირე-მცოდნე, დაბალი, სქელი, მომღიმარი.

საცოლეს რჩევით სახელდახელოდ ნაყიდი საჩუქარი—პარუსინის შარვალი და აბრეშუმის კაბა გადავეცი მომავალ სიღეროსიამარს და იმათი ქალიშვილის ხელი ვთხოვე.

სასიამაღრო კითხვები დამაყარა: ვინ ვიყავი, რა ცოდნის, ნათესავები ვინ მყავდა, ვის ვიცნობდი, ნაცოლარი თუ ვიყავი და სხვ.

ზოგზე დადებითად ვუპასუხე, ზოგზე უარყოფითად. შემდეგ მაგდას მიუჯდა სასიამაღრო და რალაცის წერა დაიწყო.

სასიღერო, ქალბატონი სოფოკლე არ მისვენებდა:

— გეტყობა, ძალიან არ გიყვარს ჩემი ქალი, თვალეში თავისუფლად უყურებ..

მე ვუმტკიცებდი, რომ ვინც შეჯავრება, იმას, არასოდეს არც თვალეში და არც სხვაგან არ ვუყურებ,ხოლო ვინც მიყვარს—პირიქით.

ამ მდგომარეობას სასიღეროც კარგად მიხვდა,თავი დამანება, ქმარს თვალი ჩაუკრა და ჩემს გვერდით მდებარე გაზეთში გახვეულ ნივთს რომლის არგამოჩენა მე გულით მწადდა, ხელი წამოავლო, გახსნა.

— ეს გასარემონტებელი ტუფლებია, ჩემია, ხელოსანთან მიმქონდა...—ვთქვი მე და ნივთი ხელიდან წავართვი.

სამი წუთის შემდეგ სიამაღრომ ასეთი პასუხი მომცა.

ჯერჯერობით ვერ დავთანხმდები ჩემი ქალიშვილის ხელზე, ვნახოთ, კარგად გავიცნოთ ერთიმეორე.

მე გამოვემშვიდობე, წამოვედი დაღონებული და თილიბოკლემც გამომყვა გასაცილებლად.

— რატომ მითხრა მამათქვენმა უარი?—ვკითხე საცოლეს.

—ვერ მივხვდი? ბალანსი არ გამოდისო,—მითხრა მან.

— რა ბალანსი?!—ვიკითხე გაკვირვებულმა.

— რა ბალანსი და ჩვენი რომანის ბალანსი.—მითხრა მან და მამამისის მიერ ხელდახელ შედგენილი შემდეგი ოფიციალური დოკუმენტი გადმომცა:

თილიბოკლე ქარცეცხლადისა და გიორგი ივანიშვილის შეუღლების ბალანსი 1928 წლის ივლისისათვის (ქართულ მანეთებში)

ა პ ტ ი ვ ი

პ ა ს ი ვ ი

№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი	№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	სასიღოს მიერ ნაყიდი კაბა სასიღეროსათვის	104	1	საწოლი, რომელიც ქალს უნდა გავატანო	340
2	სასიღოს მიერ ნაყიდი შარვალი ჩემთვის	34	2	კაბები	670
3	?	?	3	სარეცხის ვობი	75
			4	სხვადასხვა	1050
	ბალანსი	137		ბალანსი	2135

აქტივის გრაფებში ჩასმული კითხვითი ნიშნები, თურმე ჩემს გასარემონტებელ ტუფლებს ეკუთვნოდა.


„ბალანსი“ გამოვართვი, წამოვედი და გზაში სულ ყოფილ სასიამაღროს მიერ დადებული რეზოლუცია მელანდებოდა: „უარი ეთქვას“..

ჩქარი ნაბიჯით მოვდიოდი და მეშინოდა, რომ სასიამაღრო არ წამომწეოდა და არ ეთქვა:

— სადღა მიხვალ, ბალანსი გამოდის..



ჩემი ცოლი ქვეიანი ქალია, თავდაჭერილი, მაგრამ ერთი დიდი სისუსტე აქვს. ეს გახლავთ ავტო. გულდამწვიდებით არ შეუძლია ავტოს დანახვა. მისთვის არ არსებობს ავტოთი გასაქირებაზე უფრო დიდი სიამოვნება. მე რომ ისეთი დაწესებულების უფროსი ვიყო, რომელსაც ავტო აქვს, ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეიანაზე არ იქნებოდა. მაგრამ ავტო მე არ მაქვს და ცოლიც მუდამ უკმაყოფილოა. ქუჩაში მასთან გავლა მეშინია. რამდენ ავტოს დანახავს, იმდენს მიჩქმეტს. მეც ვცდილობ გავართო, ანეგდოტებს უამბობ ხოლმე გზაზე, რომ გამვლელ ავტოებს ყურადღება არ მიაქციოს, მაგრამ აბა რას გავწვდები. ვის ეცოდინება იმოდენა ანეგდოტები, რამდენი ავტოც ქუჩაში მხვდება. ერთხანს გადაწყვიტე არ გავყოლოდი ცოლს ქუჩაში, მაგრამ კიდევ უარესი. მე არ გავყევი სხვამ წაყვანა.



ჰოდა, სწორედ ჩემი ცოლის ამ ავტომანიამ ძლივს არ მიმსხვერპლა ერთხელ. გამოსასვლელი დღე იყო. ასეთ დღეს ჩემი ცოლი სახლში სადილს არ აკეთებს-ხოლმე. სასადილოთ საქვილეგთის ბაღში წავედით. ძალიან ცხელია. ბაღში შესვლამდე რამდენი ავტო შემხვდა იმდენი მიჩქმეტა ცოლმა. მარჯვენა კლავი სულ დაღურჯებული მქონდა, როცა სუფრას მიუსხედით. სამიოდე საათის შემდეგ, როგორც იქნა გვედირსა თითო საინი „ბორში“ და ნახევრად დამწვარი კატლეტი. როცა ფული გადავიხადეთ, უკვე სალამომდებოდა, საქვილეგთის წინ ქუჩაში ერთი ავტო დავიხვდა.

— ხომ არ ინებებთ გასაქირებას?
ისეთი კილოთი მოგემართა მოფერმა, რომ ჩემი ცოლი სიამოვნებისაგან დადნა, ჩიტის ბუდესავით გვერდზე მიკოწიწებულ

ლი ბერეტი გაისწორა, თავი განზე გადახარა და ნაზად ჩაიუღურტულა:

— კანენო ვინებებთ! წავიდეთ კოტაკ!
მე მუდამ სიმონს მეძახოდნენ, მაგრამ ეტყობა ჩემი ცოლი განსაკუთრებულ ალერსის ხასიათზე მოვიდა რომ ასეთი სახელი მომიგონა: (მეორეს მხრივ ასე ვიფიქრე: ვაი თუ ეს წყეული კოტიკი ვინმე სხვა არის და ალერსის დროს უნებლიედ წამოცდა ჩემს ცოლსთქო)

— პუპსიკ! ვილაც ხალტურშიკია, ტყავს გაგვადრობს მიუფე ჩურჩულით.

მე განსაკუთრებით დიდი იმედი მქონდა ამ „პუპსიკის“; მართალია ჩემს ცოლს თამარი ქვია, მაგრამ რაკი მან საალერსო „კოტიკი“ მიწოდა, მეც საალერსო სახელი მოუძებნე: იქნებ ჩემმა ალერსმა გაიმარჯვოს ავტოზე და შინ მშვიდობიანათ დავბრუნდეთქო. თქვენც არ მომიკვდით.

— განა არ ვიცოდი! ტყავს გაგვადრობს! ჩემი სიამოვნებისათვის რალაც ორიოდ გროშის დახარჯვაც გეზარება!

რა მექნა. თანხმობის ნიშნათ თავი დავლუწე და უსიტყვოდ ჩავსხედით ავტოში.

— ჩქარა სვლა შეგიძლიანთ?— შეეკითხა ჩემი ცოლი საჭე მომარჯვებულ მოფერს.

— შემიძლია, ოღონდ არ ამოვარდეთ ავტოდან მიუფე მოფერმა.

რალაც გულმა კანკალი დამიწყო. ფული გადავიხადე და თანაც ავტოდან ამოვარდე? მარა,— ვიფიქრე,— მე ჯერ სიცოცხლის დაზღვევა გაფორმებული არა მაქვს, ბავშვებს ვინა გამიზრდის? ყოველ შემთხვევისათვის მოფერს ვთხოვე ავტოზე მიგვაკრას. გამიგონია ჰაეროლანში მგზავრებს თოკით აკრავენო სკამებზე. ცოლი დამყაბულდა. ოღონდ ავტოთი გაასაქირე და თუ გინდა ქუსლებზე ნალი დააჭედე.

მოფერმაც მაგრად მოუჭირა ბაწარი და ავტოზე მიგვაკრა. შემდეგ კი მანქანა აამუშავა და გაფრინდა. ალბათ ჰაეროლანი ამაზე ჩქარა არ დაფრინავს. ჩვენს უკან ბული დგას. მილიციელი სტვენს, მაგრამ ყურადღებას ვინ აქცევს. მივფრინავთ. შევატყვე, რომ ცოლსაც შეეშინდა. ხელები გააქნია და ფეხი ფეხში გამოძლო. ცოტა გულს ეამა, იქნებ შეშინდეს და მომავალში შეიძლოს ავტოთქო.

ამ ფიქრებში ვიყავ გართული, როდესაც რალაც ლაწანის ხმა მომესმა. როცა გონს მოვედი არაჩვეულებრივი სურათი ვნახე. ესკიმოს ფარდული შუაზე გადატეხილიყო და გამყიდველი ქალი გაკვირვებული გვიცქერდა. მოფერი მალლა აბრაზე ჩამოკიდებულიყო, ხოლო ჩემი ცოლი წყალსადენის მილს შემოხვეოდა.

როგორც იქნა მიწაზე ჩამოვაცოცე.

— ესკიმო!— ძლივს ჩაიუღურტულა:

— ქალო, რა დროს ესკიმოა, ძლივს გადავრჩით.

— ესკიმო... უბეში მაქ... გავწყლიტე...

ჩაუყავი უბეში ხელი და რა ვნახე. როცა მანქანას ფარდულისათვის ფრთა გაეკრა, მცალი ესკიმო ჩემ ცოლს უბეში ჩავარდნოდა. ორი გატყელეტილი იყო, ერთი კიდევ ვარგოდა საჭმელად.



შინ ტრამვაით დავბრუნდით. გზაზე სულ იმ მოხალტურე მოფერს ვწყევლიდი. თურმე რას წყევლი. დალოცე ის გასახარელი. როცა ოთახში შევედით ცოლი მომეხვია და ყურში ჩამჩურჩულა:

— კოტიკ, მომამულა თავი ამ ავტომ. აწი მე იმაში ჩამჯდომი არა ვარ.

— პუპსიკ, მართალს ამბობ?

— კი, გენაცვალე!

რას არ მოესწრება ადამიანი ცხოვრებაში. როგორ წარმოვიდგენდი, თუ ავტომოჯირითე რაშიმე გამომადგებოდა. ნახეთ—სავსებით განკურნა ჩემი ცოლი ავტომანიისაგან. მე გულწრფელად ვურჩევ ავტომოყვარულ ცოლების ქმრებს ამ საშუალებას. ერთი ძლიერი კატასტროფა და, თუ ცოცხალი გადარჩა, შემდეგ ავტოში აღარ ჩაჯდება. თუ მოკვდა, მაშინ ხომ არ ჩაჯდება და არა. ერთი სიტყვით—უებარი წამალია.

პატარა მოთხრობები



გზადაბნეული

თბილისში, კახეთის მოედანზე, ხუთიოდე წლის ცქრიანა გოგონა იდგა და ცხარე ცრემლით ტიროდა.

— საწყალი, გზადაბნეულია, დედას თუ დასცილდა სადმე. — თქვა ერთმა მოქალაქემ და ბავშვს მოფერება დაუწყო.

— რატომ ტირი გოგონავ? დედა დაგეკარგა? ნუ გეშინიან, მე წაგიყვან სახლში.

გოგონა არაფერს ამბობდა—ტიროდა.



ვიღაც ახალმა მზრუნველმა ბავშვს სათამაშო მოუტანა და მილიციის განყოფილებაში გატყუილების მიზნით, მოტირალ ბავშვს მიმართა:

— რატომ ტირი გოგონავ, ხედავ რა კარგი სათამაშო გიყიდე? გაჩუმდი, ჩემთან თუ წამოხვალ, ტოტოჩინა დედოფალსაც გიყიდი. მე დედაშენი ვარ, ჩვენსა თუ წამოხვალ მურაბას გაქმევე, ბევრ გოზინაყს გაქმევე, მერე დედასთან წაგიყვან.

მესამე მოქალაქემ თქვა:

— ვა, ეს ხომ ჩემი ნათლულია, სახელი სულ არ დამავიწყდა? წამოდი, გოგონავ, ჩემთან, მამასთან წაგიყვან.

მოტირალმა ბავშვმა ველარ მოითმინა:

— თუ ქათლი გაქთ, თავი დამანებეთ. მე თქვენზე კალგათ ვიცი გბა. მე იმიტომ კი ალა ვტილივალ ლო ვითომ გბა დავკალგე. მე ბიძა დამეკალგა. ავლაბალსი მოვდიოდით, გზაჩი დამცილდა. საწყალი, ქუჩები სულ ალ იცის, ალც სოლაპნის ქუცა, ალც კიბალციცის ქუცა, ალც სქეები. ვიგა იპოვნის აქლა, ლა ესველება!

— ვინ არის, გოგონავ, შენი ბიძა, სად მუშაობს!—ერთხმად იკითხეს განცვიფრებულმა მოქალაქეებმა.

— მოძლაობის დაღვის მილიციელია, იასონ ახალაძე—თქვა გოგონამ.

ორის შეზინებული ორას უხეფა


მილიციის განყოფილებაში ჯმუხმა კაცმა შემოალაჯა. ხელში ჯღანი და სადგისი ეპყრა, ფართუკაქრული იყო. ეტყობოდა ძველი ფენსაცმელების დამკერებელი უნდა ყოფილიყო.

ახალმოსულმა საბინაო დავთარი დაუდო მორიგეს წინ და თქვა:

— ვა. მილნიცა ხართ, ინტლიგენცია ხართ და წერა-კითხვა არ იცით?!

— რა გნებავდათ?—იკითხა მორიგემ.

— მე რა მნებავდა?—ამბობდა განერვიულებული ხელოსანი,—



მე ის მინდოდა, რომ თქვენ რო ნასწავლი ხალხი ხართ, უნდა წიგნი იცოდეთ. დაწერა უნდა იცოდეთ, წაკითხვა უნდა იცოდეთ.

მაინც, რა გნებავდათ?

— რა და დამოვი კნიჭკაში ჩემი ხელობა სწორედ არ არის ჩაწერილი. საქმე იმაშია, რომ სხვა რალაცა მიწერია და გალანძლული ვარ. იცი რა ვითხრათ? მაგისთანა კაცი ორი ცხოვრობს ჩვენს ეზოში და სუ არაფერი იციან. წერა-კითხვა ჩვენმა დორნიკმა ასწავლა, ხელობა არაფერი იციან. სულ ცუდათ დადიან და ღვინოსა სვამენ. მე კი ხელობა მაქვს, პატიოსანი კაცი ვარ, რატომ უნდა გავილანძლო?!

მილიციელს ეგონა: ახალი ამბავი აღმოვაჩინეო და იკითხა:

— იმ ხალხს პასპორტები აქვთ?

— მაშა, იმათ უფრო მალე აიღეს პასპორტი, ნიუყელი მე.

მილიციელი დაინტერესა უცნობთა ვინაობამ, საბინაო დავთარი გადაშალა და იმ გრაფაში, რომელიც მეჯღანის გვარს ეკუთვნოდა, შეცდომით ჩაწერილი პროფესია—„რეჟისორი“ ამოიკითხა.

გია.

ნაილათ მაჩიდი, შაქარი... აჩა გვაქვს ჩვეუდი, უანაქარი...

სიღნაღის კულტმაღაზიის გამგე ბოლთას სცემს. გამყიდველი უცნაურად ათვალთვრებს ყაფაზებს, ფერშეცვლილ მაღაზიას.

შემოდის მომხმარებელი.

— მომეცი თ შემოსავალ-გასავლის ორდერი, 5 ფანქარი, 20 რვეული.

— ვერც ერთს ვერ მოგცემთ.—უპასუხებს გამყიდველი.

— მიზეზი?!

— საქმე იმაშია, რომ ჩვენ კულტსაქონლით აღარ ვვაჭრობთ, გვაქვს შაქარი, მარილი, პური, ფქვილი.

— კი მაგრამ, კულტსაქონელი?!

— კულტსაქონელს, ალბათ, გასტრონომიულ მაღაზიაში ჰყიდიან.—იხუმრა ნოქარამ. მაღაზიაში შემოდის ბავშვიანი ქალი.

— დედიკო, მიყიდე ბურთი და ტიკინა.

— ახლავე, შეილო.

— ინებეთ.—სთქვა გამყიდველმა და არყით სავსე, დალუქული ბოთლი გაუწოდა მომხმარებელს.

— ეს ხომ შეურაცხყოფაა.—უსაყვედურა ქალმა.

— ბოდიში, მე მხოლოდ ვიხუმრე, ბურთისა და ტიკინას ჩვენ აღარ ვყიდით, ალბათ, რკინეულის მაღაზიაში ექნებათ.

გულდაწყვეტილი ბავშვი უდანაშაულო გამყიდველს მუშტით დაემუქრა და დედასთან ერთად გასწია რკინეულის მაღაზიისაკენ.

საკვირველი ამბავია. ვინ იცის, შეიძლება ეს ამბავი მართლა მომხდარიყო, რომ კულტმაღაზია შესდგომოდა რაიკოოპკავშირის

მიერ მათზე დაშვებული საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას. რაშია საქმე? ცხადია, დაინტერესდება მკითხველი. საქმე იმაშია, რომ შემოხსენებულმა მაღაზიამ მიიღო საქონელბრუნვის გეგმა, რომლის მიხედვითაც კულტმაღაზიამ უნდა ივაჭროს შაქრით, მარილით, არყით და სხვ. მსგავსი საქონლით.

გეგმას ხელს აწერს სიღნაღის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ყაჯრიშვილი, მეგამავი-ეკონომისტი ბაქრაძე, ხოლო სინამდვილეს ადასტურებს საქმისმწარმოებელი: „სწორია“. რა არის სწორი, ამხანაგო კოოპერატორებო, ის, რომ კულტმაღაზიამ კულტსაქონლის მაგიერ არყით ივაჭროს?!

ლ. ველისციხელი



ეიმბუქა & ვასცაბუქა



ენციკლოპედია
გენერალური

სიბ-სხედა

**ფარცაკუქუ, ფარცატინა,
მიტხარ: გული რამ ვატინა,
დამიღონდა მაშო, ვერა,
ოდელია რაშო რერა...**

ასე გაჰკიკინებდა მალარიისაგან გათაკარებული, ამ ქვეყნად კაცობის დროებითი აღმასრულებელი, ჩვენთვის უკვე ცნობილი შიშტიბუქა.

— ჩუ, ჩუ, შენი ჭირიმე, გაჩუმდი ჩემო ცოგრა ბიჭო!—სლოკი-ნით ანუგეშებდა მისი ჭირისა და ლხინის თანავეტორი ვასტაბუქა და თან მადიანად ილუკემბოდა ავადმყოფის ულუფას.

— ვაიმე!—წამოიყვირა შიშტიბუქამ და ლოგინიდან წამოიჭრა. ვასტაბუქა დაფრთხა.

- მიშველე, ვასტაბუქა, ვკვდები.
- აჰ! არ გაბედო!
- ნემსი ჩქარა, ნემსი!
- ნემსი, ნემსი, ნემსი!—აქაქანდა ვასტაბუქა.

აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ მომვლელი ქალი მაინც არსად სჩანდა. ხმაურზე გაიღვიძეს ავადმყოფებმა. შეიქმნა ერთი ალიაქოთი, ახმაურდნენ ჭიკები, ბოთლები, წამლის შუშები, კოვზები, ერთი სიტყვით გაიმართა თერაპევტული—მედიკამენტური ჯახ-ორკესტრი.

— რა ამბავია, გაგიყდით?—დაიყვირა შემოსვლისთანავე მორიგე ექიმმა, რომლისთვისაც ძილი გაეფრთხოთ.

— ჩქარა საჩივრის წიგნი!—შეჰყვირა ვასტაბუქამ.

— აქ საავადმყოფოა და არა კოოპერატივი, საჩივრის წიგნს რატომ ითხოვთ?—შენიშნა ექიმმა ვასტაბუქას.

— კოოპერატივი კი არა ნემსია საჭირო, ნემსი!—და ვასტაბუქამ მიათით კალმითაუწერელ მღვომარეობაში მყოფ შიშტიბუქასაკენ.—ხომ ხედავთ კაცია, ნესვი კი არაა!..

— ჰა? რას იტყვით ექიმო?—მიმართა მეორე დილით, მორიგე ექიმს, შიშისაგან მთლად გაფითრებულმა შიშტიბუქამ, როდესაც ექიმმა თერმომეტრის გასინჯვის შემდეგ მომვლელ დას რალაც ჩაულათინურა.

— ა,ექიმო, ტროპიკულია?—არ ეშვებოდა შიშტიბუქა.—ოღონდ მიშველეთ ექიმო და მერე მე ვიცი და ჩემმა კაცობამ!

— ეგ სიკვდილს ვერ გადაიტანს ექიმო!—შეზღუქუნა ვასტაბუქამ ექიმს და თან დასძინა:

— ბრძანებთ, სულით ნუ დაეცემითო, რა ქნას ბატონო მართხელა, ხალასტოი სულმა. თუ ჯანი მრთელი არაა.

**ჯანი მრთელი მაქვს
სული კი არა,
რა ვქნა რა უყო**

არ ვიცი არ-ა-ა...—დაამღერა ვასტაბუქამ და განაგრძო:

— იესო მაკედონელის პირველი სიტყვაც ეს იყო, როცა იგი ვირით რომში შევიდა: ნავზდაროვკომ ტელე ზდოროვი დუხიხო ბატონო. ასე გადმოგვცემს გეოგრაფია ფიზკულტურის ფარგლებში..

— აბა, რას ჩერჩებობ!—შეუტია შიშტიბუქამ,—ქრისტემ რა იცოდა რუსული, ქრისტეფორე გალერეის სიტყვებია მაგი.

— აკროხინი.—უთხრა სანიტარულ დას ექიმმა. რომელსაც ყური არ უგდია შიშტიბუქა-ვასტაბუქას კამათისათვის და ავადმყოფს მიაშურა.

- აკროსტიხიო ბიჭო, გაიგონე?
- რაიო?—გაიოცა შიშტიბუქამაც.
- აკროსტიხიო, ასე სიტყვა შენ ნუ გადამირჩები.
- მერე, შე ნესვის ნაჭერო, აკროსტიხი ფერშალნიცამ არ დაწეროს შენ რას მიკეთებ, ტყუილად ხარ პოეტი? გაფრინდი ამ წუთში და ექიმის გვარი და სახელი შეიტყვე. ოღონდ მომარჩინოს და აკრისტისს კიარა, ნეკროლოგსაც დაუწერ.

და რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც მორიგე ექიმმა მოათავა ავადმყოფების ჩამოვლა და შემდეგ პალიტაში გასვლას აპირებდა. უცებ, მის წინ, საწოლზე, შიშტიბუქა აიშოლტა, რომელმაც გაოცებულ ექიმს შემდეგი ბანდეროლის ლექსი ჰკადრა:

**ბამივლია ფიქრით არე
აქ სად ღელავს ტალღა ცხარე,
ბაწრით დამიჭირა დახე!
ანგელოზმა შენმა სახემ,
დამალევიწე წამალი
აგრემც გიცოცხლოს მამალი,
ძან მინდა მოვრჩე ზეგ მე.
ექიმი ხარ თუ მეჩქემე,**

შიშტიბუქას არც ვასტაბუქა ჩამორჩა დეკლამაციაში და შიშ-ყოლა:

**როცა მარგო სწვდა საშას ქოჩორში,
მაშინ მე გახლდით მოჯამაგირე,
ქოსამ მაკოცა შარშან კოჯორში,
მაქსიმეს სახლში მორჩა მაკრინე.**


**ჩამრჩა ვარამი გულში დავთრად,
მთებში შეშამაც ნახა ცისკარი,
ღრანჭა ვარლამი გუშინ დათვრა და
თეფში შეჭამა ნახასისკარი...**

საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ, ექიმთან ბინაზედაც დადიოდა სამკურნალოდ ჩვენი შიშტიბუქა. რა არ აღუთქვა თავის მხსნელს, ოღონდაც მალარიის კლანჭებისაგან განთავისუფლებულიყო.

გავიდა ხანი, და შემდეგი დიალოგის ამინდიც დადგა!
— რატომ ხარ, ბიჭო, უპურმარილო კატა?—ჰკიცხავდა ვასტაბუქა შიშტიბუქას.

— რატომ ვარ უპურმარილო კატა, შე თვალდამდგარო? ჰა? სიტყვი ერთი თუ ბიჭი ხარ!—ცხარობდა თავის მხრივ შიშტიბუქაც.

— აბა რამდენი ხანია/გაიძახი ექიმს პატივი უნდა ვცე, პატივი უნდა ვცეო და სად არის მერე შენი პატივისცემა. კაცო სიკვდილს გადაგარჩინა, არ განსოვს რაებს ჰპირდებოდი? მაგრამ არაფერია. ქაჩალი კიდევ მივა მექუდესთან.




— გადაშარჩინა, გადაშარჩინა, რა გადაშარჩინა მისი ხელობა ჭგა და არ გახსოვს, თითონ რომ შეუბნებოდა საშიში არაფერი. მე რომ მართლა მალარია მქონოდა ასე მალე მოვრჩებოდი შე სულელო.

— ამაგი უნდა დაუფასო ადამიანს!
 — ამაგი თუ არა, შიგნეულობა ამომიღო და თავისი ჩამილაგა მუცელში. რაც მაშინ მქონდა იგივე მაქვს ახლაც.
 — არ გახსოვს, საცხოვრებელს რომ დაჰპირდი?
 — რა დაჰპირდი, სიცხიანი კაცი რაცხას იტყვის იმას რომ ყური უგდოს კაცმა, იცი რა იქნება?

— ასეა თუ ისე პატივი უნდა ვსცეთ. სიკვდილს გამოსტაცა შენი თავი ხელიდან. ამაგსა და ვალს, ორთავეს ერთნაირად უნდა გადახდა.—წარმოსთქვა დარბაისლურ სიღინჯით, ვასტაბუქამ.
 მაგრამ ვასტაბუქას ყვირილმა შეაწყვეტინა შიშტიბუქას „გალობა“.

— რა მოხდა, კაცო?—შეჰყვირა შიშტიბუქამ.
 — შეხედე.—უთხრა ვასტაბუქამ და გაზეთი გაუწოდა.
 — რა წერია?
 — გარდაცვლილა!..
 — ვინ, კაცო!
 — შენი ექიმი!
 — უჰ, საწყალი, რა ოქრო ადამიანი! მერე და დღეს ქე ვფიქრობდი რალაც საჩუქრების ყიდვას და... ეჰ, ახლა რომ ვიყიდოთ რა აზრი აქვს. რა დამართნია მაინც კაცო?
 — სისხლი ჩაქცევია თავში.

— ეჰ, დიდი დანაკლისია, დიდი! რა არის ჩვენი სიცოცხლე, ხარ დღეს, არ ხარ ხვალ. უცებ ფიშტ და ჰაიდა!.. ეჰ, ერთხელ მაინც მეცა პატივი, მე უბედურს! არა, ამას ვერ ვაპატიებ ჩემ თავს!..



... შემდეგი ბანდროლის ლექსი ჰკადრა

— გეუბნებოდი, მარა, შენ არაო და...ნიშნი მოუგო ვასტაბუქამ.
 — ვხუმრობდი ბიჭო, შე ლენჩო, თორემ, ისე, გულში, პატივისცემა გადაწყვეტილი მქონდა.
 — აბა, თუ პატივისცემა გულით გინდოდა, არც ეხლაა გვიან.
 — ჰა?!—გააჟრჟოლა ტანში შიშტიბუქას.
 — ეხლა უნდა გამოიჩინო მარიფათი.
 — როგორ?
 — როგორ და წადი ეხლავე და მიეცი კუბოს ზაკაზი.
 — სიამოვნებით, წავიდეთ... კი, მაგრამ... ნაყიდი რომ ქონდეთ ბიჭო, ორ კუბოში ხომ არ ჩააწვენენ?
 — მერე რაა, თუ ასეა, ისევ გავყიდით.

— აჰ, არა, კუბოს რა გამაყიდებნებს.
 — აბა, თუ კუბოს ყიდვა არ გინდა, სამგლოვიარო განცხადება მივცეთ.

— ოო! ეგ ჩინებული აზრია, წამოდი წამყევი, კა შოა... რა არ მიიღონ ბიჭო, დაგვიანებულია რომ გვითხრან.
 — ჯერ ხომ არ უთქვიათ! წამოდი, წამოდი.
 — არა, არა, უარს გვეტყვიან, ვიცი მე იმათი ხასიათი.
 — კუბო არ გინდა. განცხადებაზეც უარს ამბობ, კარგი, აბა ვენოკი იყიდე.
 — ოო! მეც სწორედ მაგის თქმა მინდოდა—ყოჩაღ, დიდებულის აზრია, წავიდეთ...
 და რამოდენიმე წუთის შემდეგ საყვავილეში გაჩნდნენ ჩვენი გმირები.

— რას ინებებთ?—შეეგება ჩოფურა მეყვავილე ჩვენს „ჭირს-უფლებს“.
 — უნდა გაგვიკეთო კარგი ვენოკი. და სულ შენი მუშტარი ვიქნებით.—უთხრა ვასტაბუქამ საყვავილეს გამგეს.
 — სიამოვნებით, როდისთვის გნებავთ?
 — ხვალ დილისთვის.
 — ბატონი ბრძანდებით.
 — ფასი, რა ეღირება?—შეეკითხა შიშტიბუქა.
 — თქვენ რომ ბრძანებთ ისეთი ვენოკი ეღირება.—და მეყვავილემ დავთარი გადაშალა. შიშტიბუქას ციებ-ცხელება აუტყდა.
 — რა ეღირება?—შეეკითხა ვასტაბუქა.
 — ეღირება... ასი მანეთი.

— შე კაი კაცო, მაგ ფასად ხომ მკვდარს ვიყიდი თავის ვენოკებთან-კუბოიანათ!
 დემონსტრაციულად დასტოვა შიშტიბუქამ საყვავილე. გამოყვა ვასტაბუქა.

— რას იტყვი შენ?—მოუბრუნდა შიშტიბუქა ვასტაბუქას—ძვირია ხომ. ან და რომ სთქვას კაცმა რა საჭიროა, ცოცხალი რომ იყოს მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ რა პატივს ვსცემდი და ახლა მკვდარია რა უყო. მე შენ გეტყვი და დეინახავს შენ ნაყიდ ვენოკს. ასი მანეთის წყალში გადაყრას ის არ ჯობია ჩავიდეთ აგერ სარდაფში და შესანდობარი დავლიოთ? ამით მიცვალეზულს სულსაც ვსცემთ პატივს და ჩვენს კუჭ-მუცელსაც ვაცხონებთ.

— ეგ აზრი მეც მომწონს. უთხრა ვასტაბუქამ შიშტიბუქას და სარდაფის კიბეებს ჩაჰყვნენ.
 ქეიფობდნენ, მანამ სანამ შიშტიბუქას პირში ნერწყვი არ გაუშრა და ელდანაკრავი, ჭიქით ხელში, ერთ წერტილზე არ გაქვავდა.

— რა დაგემართა შიშტიბუქა. რატომ გაშეშდი.—ენის ბორძიკით ამოილულლულა ვასტაბუქამ და თვალებზე რულმორეულმა თავი ჩაჰკიდა.
 — შემომიტია!
 — ვინ?—ამოილულლულა ვასტაბუქამ.
 — მალარია.
 — ოჰ ექიმთან!—ამოიკვნესა ვასტაბუქამ და ორივე გმირს გარდაცვლილ ექიმის საცხონებელ მისამართით ორ-ორი ცრემლი დაეკიდათ თვალებზე.
 — ჰო, ექიმთან, მარა ჯერ საჩუქრები ვუყიდოთ და ისე...—ამოილულლულა შიშტიბუქამ და ჩვენი გმირები სარდაფიდან ამოლოდნენ.

ანდრია გადინადირა

(მცხეთა)

ანდრია გადინადირა მცხეთა მთებიან-ტყიან ტურისტების სახლს ეწვია, ენა მეტრნახევრიანით, — მომავლინესო მმართველად, ბიჭი ვარ ბრძენი, ჭკვიანი სირინოზებში ჩამწვარი მოქეიფე და სვიანი!

შეუდგა საქმეს... იფიქრა: გამეხსნა გზა და ხიდიო, დირექტორი ვარ, ხელს მიწყობს ვაჟაკობა და „ვიდიო“, ყველას მოვაძრობ ბოლტივით თუ არ ექნებათ რიდიო, შევსანსლავ რასაც მოვასწრებ მადა მაქვს მეტად დიდიო!

ეს სთქვა და ძველ გუდასავით გაბერა მყისვე ფაშვია, ხუთათასი მანეთი შეეკვრიხა ორ კვირაშია, ეს ბირკაიამ გაიგო, თავს ჰკითხა: „საქმე“ რაშია? თუ ის სჭამს, მე რად ჩამოვრჩე, ვინ მჯობნის სმაჭამაშია?!

სამნეო ნაწილს განვაგებ, საქმელი თვალწარმტაცია, გული გულობდეს და საქმეს რას ავნებს სიზარმაცია? დაებღღვნა ცხრაას თუმანსა და გააცალა „გნაცია“. თან გულში ჩაილიღინა: „ვინც არ სჭამს ის რა კაცია?“

შემდეგ გმირები შეუდგნენ ყალბ საბუთების წერასა; წარადგინეს და კვლავ ისევ მიეცენ ქეიფ-ლხენასა. ბუხპალტერი კი საბუთთა დიდხანს უძლებდა ცქერასა ამბობდა: ვერ მომატყუებთ ჩემთან გაჰყიდით ვერასა.

იმნაძემ კომბინატორთა ამხილა საქმე ბნელია, რათა მიიღონ სასწრაფოდ ზომები გადამჭრელია, ფილიაშვილმა „ძმა-ბიჭებს“ გადააფარა ხელია. და სთქვა: რომ უმანკოები არ არის დასასჯელია!

მიკირტუმოვმაც შეჰყვირა: ვინ არის ასე შტერია, რომ ჩემ ძმადნაფიც ყმაწვილებს სურს შეუცვალოს ფერია, მე ვფიქრობ თვით ბუხპალტერი შემოპარული მტერია და სჯობს, რომ ამა ქვეყნიდან აღვავოთ როგორც მტერია!

ეს სთქვეს და მათგან „ზომები“ წამს იქნა მიღებულია იმნაძე მოხსნეს... ამბისა აქ არის დასასრულია; გმირები გულში მღერია: ჩვენი საქმენი რთულია. რასაცა შევსჭამთ ჩვენია, რაც არა დაკარგულია!

ხასან-გეგი.

ამინდის ბიულეტენი*)

ხვალისათვის შეიძლება, სულ ადრია, სისხამ დილით, მზის ამოსვლა დაგვიანდეს და ცა-ვარსკვლავმოჭედილი — იყოს მეტად მოღრუბლული, თან კრიალა, თან ნაბუჭი და ელქეჩის ხასიათის წვიმას ახლდეს — მთვარის შუქი.

შუადღისას ჩვენ გვექნება ან დარი და ან ავდარი, აღმოსავლეთ დასავლეთით ძლიერ დაჰბერს სუსტი ქარი, ალაგ-ალაგ მზე ამოვა, ალაგ ნისლი ჩამოწვება შეიძლება სითბო დადგენს, თუ აცივდა, არ დაცხება,

გვალვას სიმშრალე მოჰყვება, ავდარს ნესტი ჩამოჰყვება, ნალექები-მილიმეტრში, რაც წესია — ის იქნება, ზომა ტემპერატურისა ღამით ალბად შემცირდება. დღისით ჩრდილში ძირს დაიწვეს, მზეში ისევ გადიდდება.

არკტიკიდან-აფრიკამდე ტაროსს ელი ბევრი ზღვარი: ალაგ ყინვა, ალაგ გვალვა ალაგ დიდი ნიაღვარი; ასეთია ხვალინდელი ამინდისა ზუსტი სია და მის ნამდვილ გამართლებებს თავდებობაც მიკისრია.

ფარსადანი

ცხედ-ცხედი ამბები

დაჯილდოვება

წულუკიძის კოლმეურნეობის „მუკის“ ორგანიზაციის ხელმძღვანელ დავით ჩხენკელს, მღვდელმა ნიკიფორე წვერთხელაძემ ოქროს წყალში ამოვლებული წმინდა ვიორგის ხატი მიართვა ფეშქაშად საუკეთესო მუშაობისათვის.

ულმერთო.

პატიოსანი სიტყვა

ზეტაფონის რაიგანათლების განყოფილების გამგე შ. მგელაძე რომელიც ორი წელიწადია „ეძებს“ ადგილს ს. ბოსლევში სრული საშუალო სკოლის ასაშენებლად, რაილმასკომში პატიოსანი სიტყვა დასდო, რომ ორ-სამ წელში აუცილებლად აღმოაჩენს თვით ს. ბოსლევსაც და სკოლის ასაშენებელ ადგილსაც.

კ. მარგარიტაძე.

„ატკაზი“

ხობის შემნახველ სალაროს ბულგალტერმა კონდრატა ჯაბურია 30 ივლისს „ატკაზი“ სტკიცა სალაროში ფულის მიღებაზე აღ. შენგელიას და თან დაუმატა: „ხოში მაქვს და არ ვღებულობო“. როგორც გადმომცეს, ასეთი ხოში, ჯაბურისა, სიცხეების გამო, დღეში ოცდაათჯერ მოუვა ხოლმე.

შამფური.

არზა

ხობის ბაზრის დათვალეერების შემდეგ, ადგილობრივმა დედალორებმა არზა შეიტანეს სანიტკომისიაში, რითაც მოითხოვეს თავიანთ შეილებს აღსაზრდელად და მათ ყოველგვარი ავადმყოფობისაგან დასაცავად, ბაზარში კიდევ ასი ურემი ნავაგის შემოტანა, ანოფელესი.

*) სათაურში კორექტურული შეცდომა მოქალაქენო; უნდა იყოს: „ამინდის“. ასო „რ“ ასოთამწყობს იმიტომ ჩაუმატებია, რომ მას თბილისის ამინდის ბიუროს ბიულეტენი ჰგონებია და უფიქრია რაკი წინასწარმეტყველება სწორი არ არის, სათაურის სისწორით აწყობაც უნებრხულიაო. ეს შეცდომა და უნდა გამოსწორდეს რედ.

საბიჭვასაკრავი ამბები

„ლიპარ“ ჩამოკიდებული

(სოფ. საბუფე, ყვარ. რ. კიროვის
სახ. კოლმ-ბა)

ჩვენს კოლმეურნეობაში
ყველა შრომობს: კაცი, ქალი,
თავმჯდომარის „მარიფათით“
ვერ ავიღეთ მოსავალი.



თავმჯდომარე თათარიშვილს
მეთოდი აქვს დიდებული,
ჩამორჩენას მშვიდად უცქერს
„ლივერ“ ჩამოკიდებული.

ამასწინად, ათი წყვილი
ურმის ღერძი ააბრუნა,
ძნა, კალოზე მიტანილი
ისევ უკან დააბრუნა.

სხედან და გუზებს ყლაპავენ...

(სამტრედია)

ნიანგო, ამ ჩვენს ფოსტაში
წესები აღარ იციან,
როდესაც თბილისს ეძახი
ბათუმში გადაგისვრიან.

კომუტატორი „ჯიუტობს“
არ ვიცი საქმე რაშია,
იგი შვიდდღიან კვირაში
თორმეტდღეს „პაჩინკაშია“.


მავთული მუდამ არა აქვთ
ახალ ხაზს ვეღარ აბამენ,
ტექნიკოს-მექანიკები
სხედან და ბუზებს ყლაპავენ.

რომ გავაღვიძოთ ეს დარგი
ფიქრობ არ არის გვიანი,

რამონგვია სამი კვირა...

(სოფ. ძევერა, გორის რაიონი)

აქ, კოლმეურნეობაში,
მანქანა ავტოტიპის,
საწყალს ის დღე დააყენეს
ჩაუქციეს რბენით ტყლიპი.



თავმჯდომარე გოხლაშვილის
ნებართვებით დღე და მუდამ,
ამ ავტოთი აქეთ-იქით
დასეირნობს ვისაც უნდა.

ფიზკულტურას ასწავლიან
თუ როგორ ქნას ავტომ ყირა,
თვეში ექვს დღეს რომ ჭეშაობს
რემონტშია სამი კვირა.

თვალით ელოდავიან...

(წულუკიძე)

ექიმადა გვყავს თამარა
გვარად ის არდიშვილია,
ჩაის საბჭოთა მამულში
ვარდივით გადაშლილია.

ავადმყოფს ზედ არ უცქერის,
თავს ფარშევანგებს აღარებს,
აქაურ ავტო-მანქანის
რეგისტრაციას ატარებს.

თუ დაინახა მანქანა
ჩაილილინებს „ტანგო“ დან.
და მიატოვებს ავადმყოფს
ხუთ საათს უბერანგოდა.

დაქრის ქუჩებში „საქმისათვის“
„დიდ ქალსაც“ რიხით ხედებიან,
საწყალი ავადმყოფები
თვეობით ელოდებიან.

მოაგარაკენი...

(ყვარელი)

აქ ზოგ სკოლას არ აქვს ქერი,
ზოგს ფანჯარა, ზოგსა კარი,
ოთახებში სიმფონიას
აზუზუნებს მარდი ქარი.

ერთ სკოლაში, რომელზედაც
სულ არ ფიქრობს დირექტორი,
აგარაკათ ჩამოვიდა
პეტრეს დიდი დრუნჩა ღორი.




მეორეშიც კულტურულად
ცხოვრობს ორი უცხო პირი;
ერთი არის-დათას ძროხა,
და მეორე—ქიტეს ვირი.

შეკეთებას სკოლებისას
არვინ ფიქრობს ჯერჯერობით,
დირექტორნი თავს ირთობენ
სუფრის თავში დღევრძელობით.

ბრაგუნა.

(შორაპანი)

იანვრის დილა გათენდა!
რა ავი დარი დგებოა,
ის კვანტრიშვილი ვალია
საომრად ემზადებოა.



წავიდა, იქ მიცუნტულდა,
ღვინო რომ ეგულეზაო:
„დამისხით, დამალევენეთ,
მსურს ღვინით დასვენებოა“...

ღვინო დალია ვალიამ,
ვალაიღ ღვინომ დალია,
ამ გულზე ქალიც მოუნდეს,
განა ეს მისი ბრალია?...

ტიკივით გამობრუებული
ამოვლებული ღვინოში,
იქ მრეცხავ ქალს დაეძგერა
მუშკოპის სასადილოში.

ქალი აყვირდა: „მომშორდი,
ვინ არის? ვინ ოხერია?!“
მან შორაპნელი რაინდი
ჯერ ბლიკვით მოიგერია,

შემდეგ ქვებს ხელი დაავლო,
სავსე ნარეცხავ-ნავეთა,
ზევიდან რომ გადაასხა,
ქვეშ ვალიამაც დაყვინთა...

დამარცხებული რაინდიც
გამოხუანხვალდა ეზოში..
ასე უღიბლოდ დასრულდა
დრამატიული დებოში...



ემსხვერპლა კაცის მიზანი
მიზეზსა მას საძნელოსა...
ვით მოინელოს სირცხვილი,
ღვინოც რომ მოინელოსა...

ტიკლიკოტი

ვაშლის გათოღით

ერთმა მოქალაქემ შესჩივლა მეორეს:

— რა არის კაცო, ეს საქფილგეთის ადმინისტრაცია, რომ ასე ძვირად ჰყიდის ბაღში შესასვლელ ბილეთებს; გინდა სალამოს დაისვენო კაცმა, ცოლშვილით, გაერთო, თვალს წყალი დაალევიანო, მაგრამ რა, ტყავი გაგძვრება და ამისთანა გართობა რაღა გართობაა:

— თქვენ არ გცოდნიათ ხერხი,—უთხრა თვალგაბრწყინებულმა მეორე მოქალაქემ.—აი მაგალითად მე და ჩემი მეუღლე თითქმის არც ერთ კონცერტს არ ვსტოვებთ.

— თქვენ ალბათ კონტრამარკებით დადიხართ.

— უკაცრავად თქვენთან.

— მაშ როგორ, სად გაქვთ ამდენი ფული?

— ჩვენ ასე ვაკეთებთ; ვყიდულობთ ერთ ბილეთს, პირველ განყოფილებას უყურებს ცოლი, ხოლო მეორეს მე. შემდეგ სახლში უამბობთ ერთიმეორეს ნახულის შინაარსს და გამოდის მთელი სპექტაკლი. ამას ცოლი ვაშლის მეთოდს ეძახის, სპექტაკლი იჭრება შუაზე, როგორც ვაშლი.

დონ-კიხოტი.

გეგოქაეგი

თბილისში იყო შემთხვევა, როდესაც მეეზოვემ გაჰქურდა მეზობლის ბინა.

დაცარიელდა სახლი მდგმურთაგან, აგვისტოს თვეა, საშინლათ ცხელა: ძწვავე ხვარტისგან თავდასაღწევად აგარაკისკენ წასულა ყველა.

თვლემავს ქალაქი, გადაშვადამდა, კუპრი ღამეა, ღამეა ბნელი, და მეეზოვიც თვლემს შესავალთან... არსაიდან ჰქრის ნიავი ნელი.

გუშავს ხშირხშირად ძილი უკრთება, და გვიან მგზავრებს თვალს აყურობს წინა...

ფხიზლობს გუშავი რაღაც მიზნით, რომ სხვამ არ გაჰქურდოს მდგმურების ბინა

მანი

გ ა მ ო ტ ა ნ ა

— ზიხარ. მირბიხარ. გაშლილი სუფრაც შენთან ერთად გამოობის და ქეიფობ; თუ გაჩერდები იგივე სუფრაც შენთან ჩერდება და კვლავ ქეიფობ. ქეიფობის ეზმდეგ, მაგიდის გარშემო უცბად გაჩნდებიან თეთრებში გამოწყობილი სადისტი-ქირურგები, რომლებიც ნაზად-უხეშად ორპირ ტყავს ავაცლიან, მხოლოდ ტკივილებს შენი კანის მაგიერ, შენი ჯიბე იგრონობს... აბა, თუ მიხვდებით, ეს პროცედურა სად ხდება?.. ვერ მიხვდით?.. მაშ ისევ მე გეტყვით: ეს ხდება, რკინიგზის ვაგონ-რესტორანებში.

კელი.

ავტომატი „პურდი“

(ქუთაისი)

ქუთაისის სადგურში არის ავტომატი წარწერით:

„ჩაავდეთ მანეტა“.

„დაელოდეთ საყვირს“.

„დაიბრუნეთ მანეტა“.

ჩავაგდე ორშაუთიანი და ველოდები საყვირს. თქვენც არ მომიკვდეთ, ავტომატი თავს არ იწუხებს. ალბათ დაკავებულა-თქო ვიფიქრე და მინდა მივიღო უკანვე ჩემი „მანეტა“, მაგრამ სად არის?!

დავიცადე ცოტა ხანს და კიდევ ჩავაგდე ორშაუთიანი. არც საყვირი, არც „მანეტა“. კარგა ხანს გაგრძელდა ჩემი და ავტომატის უხმო დუელი. ის იყო მეექვსე უხალთუნი უნდა ჩამეგლო შიგ, როცა იქვე მდგომ შვეიცარს შევეცოდე:

— ამხანაგო, რათ იწუხებთ თავს, არ მუშაობს...

— კი, მაგრამ იმდენი ფული რომ ჩავყარე?..

— ნუ გეშინიათ, ფულებს სხვებიც ყრიან შიგ, მაგრამ არ იკარგება. სადგურიდან დადის ერთი ქალი და იმას მიაქვს.

მ. ხუროდლი.




ლონდონელი ქურდები და ბრიტანული პოლიცია

ქურდი:—უბეგვევალა ქმოვილო, ეს ის სახლი არ არის, ეს ბინა ჩაუკოვლოვან კომიტეტის წევრისა უნდა იყოს. ხელავ რა ტკბილად ხვრინავს?.. ნუ გეუბნინან, არ გაიღვიძებს!



ფიზკულტურის კომბინატი



— როგორ ცხელა დღეს ა? რა გვეშველებს? ვიბანაოთ მინც.

— ცურვა რომ არ ვიცო?

— შე კაცო, აგერ არის წყალზე მაშველი საზოგადოების პუნქტი, — და ჩემმა მეგობარმა სარდიონმა ხელი მტკვრის მარჯვენა ნაპირისაკენ გაიშვირა.

— კი, მაგრამ, ის პუნქტი გაღმაა და სახამ მცურავი აქ მოვა, ჩვენ ალბათ კასპიის ზღვაში ამოვყოფთ თავს.

— მართლა, მომაგონდა ბიჭო! აგერ არ არის საბანაო აუზი?

— სად კაცო?

— ფიზკულტურის კომბინატში.

— წავიდეთ...

სამ წუთში ფიზკულტურის კომბინატის სალაროსთან ვიდექით.

— ორ მანეთს ვერ მივცემ ბილეთში..

— ოჰ კარგი კაცო, ორი მანეთი რა არი..

— ორ მანეთად აბანოში წავალ და ნომერში ჩემს გემოზე ვინჯანხვალვებ.

— ა, ბატონო, მე გვატიყებ..

საცურაო აუზის გასახდელ ოთახში უამრავი ხალხი დაგვხვდა.. ვინაიდან აღნიშნულ ოთახში მხოლოდ ერთი გრძელი სკამი ღვას, მე და სარდიონმა ჩავკუცქდით გახდის დროს, ტანსაცმელი ჩავაბარეთ თუ არა (რასაც არც ისე მცირე დრო დასჭირდა) აუზისაკენ გავეშურეთ.

კარებში ექიმმა ქალმა შემაჩერა.

— გრძელი საცვალით ნებას არ მოვცემთ.

— ხომ ხედავთ როგორი სუფთაა.

— ეს თქვენ გეჩვენებათ სუფთაა, არ შეიძლება. წყალს გავვიტუტყუიანებთ...

— მაშ როგორ მოვიტყუთ.

— ტრუსიკია საჭირო.

— ალბად გაქვთ, და მომაქირავებთ.

— არა, არა გვაქვს.

— მაშ რა ვქნათ?

— რიგ-რიგობით იბანავეთ — დაგვარიგა ექიმმა და სარდიონზე მიმითითა...

— სარდიონ მეტი რა გზაა, უნდა გაიძრო.

— რა, კაცო?

— ტრუსიკი...

— მერე მე?

— მე რომ ამოვალ, შემდეგ შენ იბანავე.

— არა, ერთად მინდა ვიბანაოთ.

— კი მაგრამ, ხომ ხედავ არ გვიშვებს.

— მეტი რა გზაა, კარგი.

სარდიონმა ტრუსიკი ჩაიძრო და თითონ ცივ შხაბს მიუტუტქდა.

— საათი მოიხსენაა, — გააძვრთხილა ექიმმა ქალმა, რომელსაც მაჯის საათები ხელზე რომ აღარ დასტეოდა, ფეხებზე გადაეტანა.

ის იყო წყალში გადახტომას ვაპირებდი, რომ ერთბაშად შეეჩერდი: მწვანე, დახავსებულ და ნაგვიან წყალში ჩავიხედე თუ არა, ხის ტოტზე შესკუპულმა ბაყაყმა, რომელიც ფიზკულტურულ სიმფონიას უკრავდა, ერთბაშად შემომიბთია:

— აქ ჩვენი ადგილია, ქვევით მიბრძანდით თუ შეიძლება.

— მტკვარში, მტკვარში, ხელს ნუ გვიშლით საწვრთნელ ვარჯიშობას ვატარებთ. — დაუმატა მეორემ.

— ერთი, ორი, სამი — მისცა სტარტი გაბერილმა მესამე ბაყაყმა და ორი მოცურავე ბაყაყი წყალში გადაეშვა. 12 მეტრიანი მანძილი ერთ წუთსა და 3 წამში დაჰფარა ერთმა მათგანმა.

— ვაშა — ასტენეს ბაყაყებმა ყიყინი და გამარჯვებულს ფოთლების გვირგვინი მიართვეს.

— ეხ რაც არის არის, — ვსტყვი და სახტომ კოშკს მივუახლოვდი. ვიფიქრე აქ ხომ დასახრობი წყალი არ არის მეთქი, ავიწიე და ნიანგივით პირდაპირ წყალში გადავეშვი.

ბიჭოს, ფეხი ვერ დავეწიე. მე ხომ ცურვა არ ვიცო? მაშ ვინჩრობი რაღა ასე საქვეყნოდ! დავეყრება ხომ სირცხვილია, სირცხვილი სჯობია თუ სიკვდილი! აქ ყველამ ცურვა იცის ალბათ, როგორ დავიყვირო? ვაიმე? ვაიმე, რომ ვიძირები? მაგრამ არა! „სჯობს ცურაობის არცოდნას ჩაძირვა სახელოვანი“ გავიფიქრე, მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ვინჩრობოდი დავაღე პირი.

„მიშველეს“ თქმა არც კი დამაცალა მწვანე წყალმა, უნამუსოდ გამეგვსო პირი და ინდაურით დავილოყლოყე.

— არიქა, იხრობა...

— გადაუგდეთ...

— ესროლეთ... — შეიქნა ყვირილი და ერთმა ჩემმა ცოდვით სავსემ მართლაც მრეხვა თავში რაღაც ბუბლიკივით მრგვალი რომელიც ტყვიასავით მაგარი იყო.

— ვაიმე, ეხლა კი ნამდვილად მომკლეს, —

გავიფიქრე გულში და სიცოცხლის გამოსამშვიდობებელი უკანასკნელი სადღეგრძელო კადვე გადავკარი.

— მალჩიკ, სპაკინო, ნე ბოიტეს! — მომაძახა ვილაცამი, რომელმაც ჩამავლო ხელი და ნაპირზე გამართია.

როცა თვალები გავახილე ჩემს წინ ნახევრად გატიტვლებული ულამაზესი გოგონა იდგა.

ერთბაშად გამოვერკვიე.

— სპასიბო დევიჩკა, — ვუთხარი და საუბარი გავუშართე.

— შე უსინდისო ნამუსი აღარ გაქვს? რამდენი ხანია გიცდი, მე არ მინდა ბანაობა? — სულმთლად გატიტვლებული სარდიონი, რომელიც ექიმებს გამოქცეოდა, დამადგა თიჯზე და ტრუსიკზე ხელი წამავლო გასახდელად.

— ჩემია ძმაო, შენი ხომ არაა, მომეცი! — არ მეშვებოდა სარდიონი.

— ე, ბიჭო, ნუ მარცხვენ მაცადე ცოტა.

— კაკ ვამ ნე სტიდნო! — მომაძახა ჩემმა მშველელმა გოგონამ და ელვასავით გაჰქრა. სარდიონს აღარ უზბანავია.

სალამოს აბანოს რიგში ვიდექი და დიდხანს ვფიქრობდი ერთ რამეზე, რომელზე დაც ამ წუთშიც ვფიქრობ და ვერ გადამიწყვეტია:

რისთვის მითხრა ლამაზმა გოგონამ „კაკ ვამ ნე სტიდნო“!

ქ. გოგიაშვილი.

„პელაგოზი“ მოითხოვს

ქ. კანაბეგოვი ქანყოფილებს ქაბჯს
მისწავლით ქმნილობით
მოქსნეხბი, რომ მე ვაჩ ქაყაობს მოშხვილით სხვათი საშუალოთ
სკოლის მოქმედებლს მისწავლით სხვათი მოქმედებლს 10 სთით
ქმ ხელოვნობით ქვეითობებს ქაყაობს მიხთიხ სხვათი
ქმ 7-11 სთით. ამისათვის ქახოვი ხათ ქმნილობით
სხვათი ყველთი სხვათი ვინაიქსნე დილით
ვაჩ დაქვეითობით, და ქხითი ვაჩ სოჭკობით თაქვეობით,
ხომიქსნე დილით მოითხოვს მოქმედებლს.

ქ. კანაბეგოვი.

რედაქციისაგან: „პელაგოზი“ მამისეიშვილის განცხადებას, ცინკოგრაფიის მიხეზით აკლია ნიანგის მიერ წითელი მელნით წარწერილი რეზოლუცია: „განთავისუფლებულ იქნეს დილის საათებიდან...“

გემასხორება, ნიანგო
ექიმი ფიცხელაური,
მოხსნეს, დაჰყარა ცრემლები
და შეგვაწუხა ხმაურით.

მაგრამ დახედე ეშმაკსა.
როგორც მინელდა ხმაური,
წამოდგა, წამოიშარათა,
ატეხა აურზაური.

საქმე მოაწყო იმგვარად
დასდო ამაგი, ვალია,
საავადმყოფოს მდივანი
ვინმე ბაქრაძის ქალია

წამოასკუბა გამგეთ და
მიაპყრო კეთილს თვალთა:
სთქვა: ექიმობა ვერ იცის
მაგრამ რა ჩემი ბრალთა.

ხელფასს მეტს მომცემს, კარგია
ფაწინაურებთ ქალებსო,
თუ ვერ გასინჯა, ისედაც
ავადმყოფს შეიბრალეზო.

თავს ვირჩენ, თანხა მექნება
არ წამოვიდებ ვალეზო,
მე კვერცხს მივირთმევ მოხრაკულს
დედლი იკაკანებსო.

რა მენადვლება, ბულბული
იძახდეს ტია - ტიასა,
ანდა წიწილას ბუმბული
ველად გაჰქონდეს ნიავსა,

იღვეს სიბიტო ბალნარში
სქამდეს და სქამდეს ქლიავსა,
ვჯავრობ: „ბალნიცა“ ჩაბარდა
გოგოლის პელავისა.

აკ. თუჯელი.



კ ა ვ ე ზ ი

— გამაგრილებელი რა ვაქვთ?
— ვენტილიატორი, მოქალაქევ!..

ჩვენნი ფოსტა

სასტუდენტოს. (აქვე) თქვენი ლექსი ასე იწყება:

„ეხ მეც არ ვიცი ეს რა სევდა შემომწოლია,
ალარა მშველის არც ექიმი, არც აფთიაქი,
ალარ მახარებს არც სიდედრი, ალარც
ცოლია,
არც გოფილეგთი, არც კინო და ალარც
თეატრი...“

ძვირფასო სასტუდენტო! ჩვენ კი თქვენს გაუხარებლობას უფრო გამოცდებისათვის მოუშვადებლობას ვაბრალებთ.

პესიმისტ-ტრადიკოსს (სამტრედია) თქვენი ცხრა კარიანი პოემა ასე ბოლოვდება:

„საქმე არ მიყვარს და მეზარება.
კამით, იცოცხლე, მიყვარდეს ჭამა,
მსქთახორავო, მითხრეს ქალებმა
და გამიტეხა გული მე აშან.
გული კი არა მართლა ისე ვარ,
თავიც მევიკლა მგონია მაგრამ,
კუბოს რა უყო, თორემ ლევერველს
ქე ვინათხვრებ საცხა იქნება...“
კუბოს ჩვენ გიფეშქაშებთ.

გრამატიკოსს (აქვე. სტუდენტალაქი) თქვენი პოემა: „ჩემი სიმღერა“, რომელიც სტუდენტთა სასადილოს ეხება, ასე იწყება:

„სასადილოში როს ვიკატლემ
ალარ მიამა როცა ვავძენი,
დავკარი სტოლზე სტაქანს მუშტი და
სად არის გამგე: დავცხე ტრეფოვა,

იმ მინუტშივე გაჩნდა პოვერი,
მოიტათ ჩქარა უაღობნი კნიშკა,
ვაი ნიანგო, ნეტა განახვა
სტუდენტებია სულ მომჩივნები

და არ იციენ რაფრა ჩაწერვონ,
სულ აშიპკები გრამატიკული.
რალას ვიზამდი გავანწორე და
ზედ დავაყოლე მერე პიკული...“

თქვენს ვინაობას არ იწერებთ. თქვენი წერის სტილით შევიტყვეთ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის „მასწავლებელი“ ხარო, მაგრამ სწორი სახელისა და გვარის შეტყობინება მაინც საჭიროა.


მაყვლისბუჩქელს (ქუთაისი) ჩვენ ჩვეულებად არა გვაქვს კარგი მოთხრობების გოდორში გადაძახება. მაგრამ თუ კვლავ ასეთ მოთხრობების გზავნას განაგრძობთ, როგორც: „წიწმატი, ქერი, ქართოფილი და ტროლეიბუსი“ იცოდეთ მივეჩვევით უფსკერო გოდორში გადაძახებას.

იკრიბოკროს (კვალითი) იწერებით, „მე და ჩემი ცოლი ვარო“.


„კრუნი როცა დეიბუდრებს
გამოვდივართ მაშინ ვარეთ,
დავისურავთ თავზე „ზონტიკს“
და დილამდე დავგულავებთ...“
ნეტავი თქვენ, რალა გიჭიროთ, მოდი სადილათ ჩვენსკენ გამოისიერეთ.

მათუსალას (ტყიბული) ასე თავდება თქვენი: „ყარამანიანი“
„ვოხ. როგორ ვწუხვარ, რომ ავათა ვარ,
და ბალნიცაში ვწვანვარ ისთევლე.
თორემ ნიანგო მე ასეთ ლექსებს
სულ მოგაყრიდი და მოგაყრიდი...“
ვაფიცებთ ნიქსა და მუზას, იწეკით, ჯერ ნუ გამოეწერებით საავადმყოფოდან.


ნან. გ. ისაყვი
გერმანული
საგურაული



1




2



3



4



5

ნან პოპე უნიკეზორე